საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/6251
20/10/2022

6251-21-2-202210201608

შპს „კოდორს“
მის: ქ. თბილისი, ბახტრიონის ქ. №13. ბ. №85
ელ. ფოსტა: info@ecometer.org.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №4721 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, კრწანისისა და სამგორის რაიონში 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის -„ორთაჭალა 2-3“-ის რეკონსტრუქციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებას თანდართულ Shp ფაილებში ასახული უნდა იყოს საპროექტო საყრდენების განთავსების წერტილები და სადენები, ამასთან დაზუსტებას საჭიროებს წარმოდგენილი ეგხ-ის ბუფერი.
- სკრინინგის განცხადების თანახმად, პროექტით დაგეგმილი ახალი საყრდენები განთავსდება მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე და მისი ბუფერი გაივლის ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე. ამასთან, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ეგხ-ის ბუფერი კვეთს კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს (01.18.10.003.079; 01.18.10.003.049). აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.
- დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების სახეობების და შემდგომი მართვის შესახებ ინფორმაცია;

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო